

თავი 11 ძალაუფლებით ვაჭრობა

ვიდრე ჯონათანი ფიქრობდა საით წასულიყო, მას უეცრად ჩაფსკვნილი, მხიარული ქალი შეეფეთა. ქალმა მარჯვენა ხელი ჩამოართვა და დიდხანს არ უშვებდა.

– როგორ ბრძანდებით? რა მშვენიერი დღეა, არა? – ელვის სისწრაფით წარმოთქვა მან და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი, – ლედი ბესს ტვიდი ვარ და ლორდთა საბჭოში თქვენს სამეზობლოს წარმოვადგენ. მადლობელი ვიქნები, თუ შემოწირულობას გაიღებთ და შემდეგ არჩევნებში ხმასაც მომცემთ.

– მართლა? – გაიოცა ჯონათანმა.

ქალმა ისე ენერგიულად შეუტია, რომ გაოგნებისგან უკანაც კი დაიხია. ჯერ არ ენახა ადამიანი, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით ამდენი სიტყვის წარმოთქმა შეეძლო.

– რა თქმა უნდა, – განაგრძო ლედი ტვიდმა, რომელსაც ჯონათანის პასუხი ნაკლებად ადარდებდა, – მზად ვარ, გადაგიხადოთ... დიახ, კარგად გადაგიხდით. ამაზე უფრო ხელსაყრელ ვარიანტს სად ნახავთ? მაშ, რას იტყვით?

– შემოწირულობისა და ხმისთვის გადამიხდით? – იკითხა დაბნეულმა ჯონათანმა.

– გაჩუმდით, გაჩუმდით! ნაღდ ფულს, რა თქმა უნდა, ვერ გადაგიხდით, ეს ხომ ქრთამია, – თქვა ლედი ტვიდმა, ჯონათანს თვალი ჩაუკრა და ხელით უბიძგა.

– მაგრამ, მე შემიძლია შემოგთავაზოთ გაცილებით მეტი, ვიდრე ნაღდი ფული და უფრო ღირებული, ვიდრე თქვენი შემოწირულობა, – განაგრძო ქალმა, – თუ ახლა ცოტაოდენ ფულს მომცემთ, მომავალში იმდენ მოგებას გპირდებით, ვერც კი წარმოიდგენთ. ასე მოვიქცეთ, რას იტყვით?

– კარგი იქნებოდა, – უპასუხა ჯონათანმა, რომელიც მიხვდა, რომ ქალი საერთოდ არ უსმენდა.

– რას საქმიანობთ? ნებისმიერი დახმარება შემიძლია გაგიწიოთ, გნებავთ სესხის ან ლიცენზიის აღება, სუბსიდია ან გადასახადებისგან გათავისუფლება. წესების, ნორმატიული აქტების, ინსპექციებისა და ჯარიმების მეშვეობით შემიძლია კონკურენტები მოგაცილოთ. როგორც ხედავთ, პოლიტიკოსში ფულის ჩადება საუკეთესო ინვესტიციაა. იქნებ თქვენს მეზობლად ახალი გზის დაგება ან პარკის მოწყობა გნებავთ, ან თუნდაც ახალი სახლის...

– მოიცადეთ! – იყვირა ჯონათანმა, რათა სიტყვების ეს ნიაღვარი შეეჩერებინა, – როგორ, ამაზე მეტის მოცემას შეძლებთ, ვიდრე მე გადაგიხდით? ასეთი მდიდარი და გულუხვი ხართ?

– მდიდარი? მე? ღმერთო ჩემო, არა! – შეეპასუხა ლედი ტვიდი, – მდიდარი არ ვარ. უფრო სწორად, არც ისე... გულუხვი? შეიძლება ასეც ითქვას. მაგრამ საკუთარი ჯიბიდან გადახდას არ ვაპირებ. ისე, სახელმწიფო ხაზინას განვაგებ და გარწმუნებთ, რომ ამ სახსრებით საჭირო ადამიანებისთვის ძალიან გულუხვი შემიძლია ვიყო. მოვრჩეთ ამაზე საუბარს! – ქალმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და ჯონათანს თვალი ორჯერ ჩაუკრა.

ეს უკანასკნელი მაინც ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ქალი.

– ჩემი შემოწირულობის და ხმის ყიდვა განა მექრთამეობის ტოლფასი არ არის?

ლედი ტვიდმა გამჭოლი მხერვა ესროლა ჯონათანს, მხარზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

– გულახდილად რომ ვთქვათ, მეგობარო, ეს მექრთამეობაა! თუმცა, სავსებით კანონიერია, თუ პოლიტიკოსი სხვის ფულს იყენებს. მაგალითად, ნაღდ ფულს თუ გადამიხდით, ეს უკანონოა. მაგრამ ამას „საარჩევნო კამპანიისთვის შემოწირულობას“ თუ დავარქმევთ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. შეგიძლიათ ჩემი წიგნის ათასი ეგზემპლარი შეიძინოთ და საერთოდ არ წაიკითხოთ. თუ ფულის გადმოცემა პირადად გეუხერხულებათ, შეგიძლიათ ეს სხვას ანდოთ. მაგალითად,

სთხოვთ მეგობარს, ახლობელს ან თანამშრომელს თქვენი სახელით გადმომცეს ფული, აქციები ან, თუნდაც, სამსახური გამიწიოს მე ან ჩემს ნათესაობას, თუ გნებავთ, ახლა ან მერე. მიხვდით? – ქალი შეჩერდა და ჯონათანისგან პასუხს დაელოდა.

ჯონათანმა თავი გააქნია.

– განსხვავებას მაინც ვერ ვხედავ. ხალხის ხმებისა და კეთილგანწყობის მოსყიდვა ყოველთვის მექრთამეობაა, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ეს ხალხი ან ვისი ფულით მოხდება ეს. თუ მოქმედება იგივეა, რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელს დავარქმევთ.

ლედი ტვიდმა ქედმაღლურად ჩაიციხა:

– ჩემო ძვირფასო, ცხოვრებას უნდა მოერგო. სწორედ სახელი წყვეტს ყველაფერს.

ქალმა ჯონათანს ნიკაპზე მოჰკიდა ხელი და თავი გვერდზე მიაბრუნებინა.

– თქვენი სახელი? იცით, მშვენიერი პროფილი გაქვთ. დარწმუნებული ვარ, საჯარო სამსახურში რომ გეცადათ ბედი, ბრწყინვალე კარიერას გაიკეთებდით. მაგრამ ცხოვრებაზე მორგება უნდა ისწავლოთ. არჩევნების შემდეგ ალბათ შევძლებდი ჩემს ბიუროში თქვენთვის შესაფერისი თანამდებობის მონახვას. ან იქნებ რამე სხვა გნებავთ?

ჯონათანმა თავი გაიქნია და ქალისგან გათავისუფლება შეძლო.

– გადამხდელთა ფულის დარიგებით თქვენ რა მოგებას ნახულობთ? განა შემოწირულობის სახით შემოსული ფულის მითვისებააარ შეგიძლიათ?

– რა თქმა უნდა, ამ ფულის ნაწილს საკუთარ ხარჯებს ვახმარ და პენსიაზე გასვლის შემდეგ სოლიდური ქონების პატრონი ვიქნები. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ თანხით შემიძლია ხალხში პოპულარობა, აღიარება, ნდობა, სიყვარული, აღტაცება მოვიპოვო ან, თუნდაც, ისტორიაში კვალი დავტოვო. ეს ყველაფერი და უფრო მეტიც, ჩემთვის და ჩემი შთამომავლებისთვის! – ჩაიხითხითა ლედი ტვიდმა, – ამომრჩეველთა ხმები ძალაუფლებაა, მე კი ამქვეყნად ყველაფერზე მეტად სწორედ კუნძულის თითოეული მცხოვრების სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და ქონებაზე გავლენის საშუალება მიზიდავს. ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი მოდის ჩემთან, სწორედ ჩემთან, დახმარების სათხოვნელად. ნებისმიერი გადასახადი თუ კანონი გამონაკლისის დაშვების საშუალებას მაძლევს. თითოეული ადამიანის დიდი თუ პატარა პრობლემა ჩემს ძალაუფლებას ზრდის. შემიძლია გულუხვად დავარიგო უფასო სადილი ან მივანიჭო უფასო მგზავრობის უფლება ჩემს რჩეულებს. ბავშვობიდან ვოცნებობდი ასეთ ძალაუფლებაზე. თქვენც შეიძლება გახდეთ ყოველივე ამის თანახმარი!

ჯონათანმა ქალის ჩაბლაუჭებული ხელისგან გათავისუფლება სცადა.

– რა თქმა უნდა, თქვენ და თქვენს მეგობრებს მშვენივრად გაქვთ აწყობილი საქმე. მაგრამ, ნუთუ ის ხალხი, ვის ფულსაც თქვენ ხმების, კეთილგანწყობისა და ძალაუფლების შესაძენად იყენებთ, კმაყოფილია ყოველივე ამით.

– თავისთავად, – განაცხადა ქალმა და ფუნჩულა დაბაბი ამაყად ასწია, – მე მათ პრობლემებს ვუგდებ ყურს, ამიტომაც რეფორმის ლიდერი გავხდი.

ქალმა, როგორც იქნა, ჯონათანს ხელი გაუშვა და ბეჭდებისხმული მსუქანი თითები ზევით გაიშვირა.

– წლების მანძილზე ახალ წესებს ვადგენდი, რათა პოლიტიკიდან მოგება მენახა. ყოველთვის ვამბობდი, რომ კამპანიის ფული უმრავლესობის პროპორციულობის კრიზისის მიზეზია. რეფორმის დაპირებით ბევრი ხმაც მოვიგე, – თქვა ლედი ტვიდმა და თავისთვის ჩაიციხა, – საბედნიეროდ, ყოველთვის ვიცი, როგორ ავუარო გვერდი ჩემ მიერ შედგენილ წესებს და ეს იქნება მანამ, სანამ არსებობს საშუალება, ფულის სანაცვლოდ გავუწიო ვინმეს სამსახური.

ლედი ტვიდმა ისევ ჩაუკრა ჯონათანს თვალი და გვერდში უბიძგა:

– მიმიხვდი, ხომ?

ქალმა შეათვალიერა ჯონათანის დაფლეთილი ტანსაცმელი და თქვა:

– კაპიკსაც არ გადაგიხდიან, თუ შენ არაფერი გაქვს, სანაცვლოდ რომ შესთავაზო. ნუთუ არ გესმის? მაგრამ შენი უმანკო შეხედულებითა და ჩემი დახმარებით... ახალი ჩაცმულობით, ფეხსაცმლით და კარგი ვარცხნილობით... შევძლებდით შენთვის უფრო მეტი ხმის მოპოვებას, ვიდრე ამას ნებისმიერი ახალბედა პოლიტიკოსი მოახერხებდა. ჩემი ხელმძღვანელობით ათ-თორმეტ წელიწადში ბევრის მიღწევას შეძლებდი. უსაზღვროდ დიდი შესაძლებლობებია! ღორღთა სასახლეში მომნახე და შევეცდები, გაგაკეთო რამე.

უცბად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ლედი ტვიდმა მუშები შენიშნა. ისინი კარაჭედილ ქარხანასთან იყვნენ შეკრებილნი და საცოდავად შესცქეროდნენ მას. ქალმა ჯონათანის მიმართ ინტერესი დაკარგა და ახალ „მსხვერპლს“ მიაშურა.

– სხვისი ფულის გაფლანგვა პრობლემების საწინდარია, – ჩაიბუტბუტა ჯონათანმა.

ნებისმიერ უთანხმოებაზე ყურებმომართული ქალი ამ სიტყვების გაგონებაზე შეჩერდა და უკან მოიხედა.

– პრობლემებო? ჰმ! ეს იგივეა, რაც ბავშვს სასუსნავი წაართვა. იმას, რასაც ხალხი თანამდებობის გამო ვერ მაძლევს, მე ვსესხულობ. დაიმასხოვრე, ცოცხალი რომ აღარ ვიქნები, ჩემი სახელი უკვდავი დარჩება, ხოლო მათ ჯერ კიდევ არდაბადებულ შვილებს მოუწევთ მშობლების ვალის გასტუმრება. რა გქვია შენ?

– ჯონათან გულიბლი, მემ.

ქალს სახე მკაცრი და გულგრილი გაუხდა.

– დაგიმასხოვრებ, ჯონათან გულიბლო! ვინც ჩემსკენ არ არის, ჩემი მტერია. მე ვაჯილდოვებ მეგობრებს და ვსჯი მტრებს. გადაწყვიტე, ვისკენ ხარ, გამიგე? ასეა, მკაცრ პირობებში ცხოვრობს ჩვენი საზოგადოება. გაისუსე! – მისი სახე ღიმილმა მოიცვა.

ქალი ქუჩაში ისე გაუჩინარდა, ჯონათანმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო.